<u>პროექტი</u>

„საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით ირჩევს საქართელოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 3 მოსამართლე წევრს;“;

ბ) მე-10 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 10^1 პუნქტი:

„10^1. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ცალ-ცალკე ეყრება კენჭი საერთო სასამართლოების თითოეული ინსტანციის მიხედვით დასახელებულ კანდიდატებს. არჩეულად ჩაითვლებიან საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატები. თუ ხმათა საჭირო რაოდენობა ვერც ერთმა კანდიდატმა მიიღო, მე-2 ტურში კენჭი ეყრება 2 საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატს და მათგან არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც უფრო მეტ ხმას მიიღებს.“.

2. ეს ცვლილება ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.